



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 101/ს
28/02/2023

101-21-4-202302281753



**სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფ. ძველ სენაკში ი/მ რევაზ ჯანჯღავას
ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგურის) ექსპლუატაციაზე სკრინინგის
გადაწყვეტილების შესახებ**

ი/მ რევაზ ჯანჯღავას მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფ. ძველ სენაკში ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგურის) ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, 2023 წლის 11 იანვარს, სსიპ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ი/მ რევაზ ჯანჯღავას მიმართ „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79⁷ -ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის (სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება) ფაქტზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №072735 ოქმი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ი/მ რევაზ ჯანჯღავას კუთვნილი ავტოგასამართი სადგური მოწყობილია სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფ. ძველ სენაკში 690 მ² ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 44.04.28.551). აღნიშნული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ი/მ რევაზ ჯანჯღავას საკუთრებას. ავტოგასამართი სადგურის განთავსების GPS კოორდინატებია: X – 265598; Y – 4686966. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი ავტოგასამართი სადგურის განთავსების ადგილიდან დაშორებულია დაახლოებით 33 მეტრით, ნავთობპროდუქტების შესანახი რეზერვუარიდან - დაახლოებით 28 მეტრით, ხოლო საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან - დაახლოებით 7 მეტრით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავტოგასამართი სადგურის შემადგენელი ინფრასტრუქტურული ელემენტებია: ოფისი-საოპერატორო, სარეზერვუარო პარკი, საწვავის მარიგებელი სვეტი (ერთი ერთეული, ორმხრივმარიგებელი), ავტოცისტერნის პლატფორმა, დაღვრილი საწვავის წყალშემკრები არხები და ნავთობდამჭერი სალექარი. ტერიტორიაზე ასევე გათვალისწინებულია მეხამრიდისა და სახანძრო უსაფრთხოების საშუალებების განთავსება. დოკუმენტის თანახმად, ავტოგასამართ სადგურზე მოწყობილი

საწვავის შესანახი მიწისქვეშა რეზერვუარის საერთო ტევადობა შეადგენს 69 736 ლიტრს. აღნიშნული რეზერვუარი დაყოფილია სამ სექციად, რომელთაგან ერთი (24 786 ლიტრი) განკუთვნილია დიზელის საწვავისთვის, ხოლო ორი (24 445 ლიტრი და 20 505 ლიტრი) - ბენზინის საწვავისთვის. რეზერვუარები განთავსებულია სპეციალურ ბალიშებზე (GPS კოორდინატებია: X - 265600; Y - 4686949), დაფარულია ანტიკოროზიული ნივთიერებით და აღჭურვილია სასუნთქი სარქველებით (სიმაღლე - 2,5 მეტრი, დიამეტრი - 5 სმ). ავტოგასამართი სადგურის რეზერვუარებში საწვავის მიღება განხორციელდება ავტოცისტერნების საშუალებით, რომელიც განთავსდება მობეტონებულ ბაქანზე. მიწისქვეშა რეზერვუარებიდან საწვავი მიეწოდება მარიგებელ სვეტს, რომელიც განთავსებულია რკინის კონსტრუქციით გადახურული ნაგებობის ქვეშ.

წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, ობიექტზე წლის განმავლობაში დაგეგმილია ჯამურად 700 000 ლიტრი საწვავის რეალიზაცია (400 000 ლიტრი ბენზინი და 300 000 ლიტრი დიზელი). ავტოგასამართი სადგური იმუშავებს წელიწადში 360 დღე, დღე-ღამეში 12 საათი. ობიექტზე დასაქმებული იქნება 3 ადამიანი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისას წყლის მოხმარება მოხდება საყოფაცხოვრებო და ტექნიკური მიზნებისთვის, რისთვისაც წყალღება გათვალისწინებულია მიწისქვეშა ჰორიზონტიდან, რაზედაც კომპანიის მიერ აღებული იქნება შესაბამისი ლიცენზია. ობიექტზე წყალი ტექნიკური მიზნით გამოყენებული იქნება მოედნის მოსარეცხად. მოედნის მორეცხვა მოხდება დღეში ერთხელ და ყოველდღიურად ჯამურად გამოყენებული იქნება 30 ლიტრი წყალი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ვინაიდან ავტოგასამართი სადგური და მარიგებელი სვეტი განთავსებულია გადახურული ნაგებობის ქვეშ, ნავთობპროდუქტებით სანიაღვრე წყლების დაბინძურებას ადგილი არ ექნება. ამასთან, მოედნის პერიმეტრზე გათვალისწინებულია წყალშემკრები არხები, რომლის საშუალებითაც ტერიტორიაზე შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტები და მათ შორის ტექნოლოგიური მოედნის მორეცხვის შედეგად წარმოქმნილი წყლები შეიკრიბება ნავთობდამჭერ სალექარში საიდანაც, გაწმენდის შემდეგ, ჩაშვებული იქნება არსებულ სანიაღვრე არხში (GPS კოორდინატები X - 265558; Y - 4686968). ობიექტზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩაშვებული იქნება ტერიტორიაზე მოწყობილ სასენიზაციო ორმოში, რომლის დაცლა მოხდება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. რაც შეეხება სალექარში წარმოქმნილ ნავთობპროდუქტებით დაბინძურებულ წყალს, დასაწყობდება ობიექტის ტერიტორიაზე დახურულ სათავსოში და გატანილი იქნება შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე ადგილი ექნება საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნას. ნარჩენების შეგროვება მოხდება სეპარირებულად. საყოფაცხოვრებო ნარჩენები შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გატანილი იქნება სენაკის მუნიციპალური სამსახურის მიერ, მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები, დროებით დასაწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე დახურულ სათავსოში და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ გაფრქვევას ატმოსფერულ ჰაერში. ობიექტის მიერ, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები, რომელთა მაქსიმალური

ინტენსივობები ფიქსირდება ნავთობპროდუქტების მიღებისას და გაცემისას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისას, წლის განმავლობაში, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობები მინიმალურია და არ გადააჭარბებს დასაშვებ ნორმებს. აღსანიშნავია, რომ ნავთობპროდუქტების შესანახი რეზერვუარები განთავსებულია მიწის ქვეშ, რაც ამცირებს მათზე გარემო ფაქტორების (მზის გამოსხივება, ტემპერატურა და ა.შ) უარყოფითი ზემოქმედების რისკს. ასევე, ზღუდავს გაფრქვევათა შორ მანძილებზე გავრცელების საფრთხეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაფრქვევები ლოკალიზებულია ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე და იშვიათად სცილდება ობიექტის განთავსების ტერიტორიის საზღვრებს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ავტოგასამართ სადგურზე მაღალი ხმაურის დონის გამომწვევი დანადგარების განთავსება გათვალისწინებული არ არის, შესაბამისად ობიექტის ფუნქციონირებისას ადგილი არ ექნება ხმაურით გამოწვეულ ზემოქმედებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ავტოგასამართი სადგური მოწყობილია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ, მობეტონებულ ტერიტორიაზე, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის. ამასთან, ტერიტორია ცხოველთა საბინადროდ არახელსაყრელია. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავტოგასამართი სადგურის განთავსების 500 მეტრიან რადიუსში არ ფიქსირდება ანალოგიური პროფილის მქონე ობიექტი, შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფ. ძველ სენაკში ი/მ რევაზ ჯანჯღავას ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგურის) ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

2. ი/მ რევაზ ჯანჯღავა ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ი/მ რევაზ ჯანჯღავას;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ი/მ რევაზ ჯანჯღავას მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და სენაკის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო